საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030617115184720

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/220 **24 / იანვარი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მიმდინარე წლის 15 იანვარის № 01/426 წერილით შემოსული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, ქალბატონ მზია გიორგობიანის წერილი (13.01.2020 №98-01-2-202001131441) და გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტაცია: ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში; პროექტის განხორციელების ადგილის შეიპ (shp) ფაილები.
აღნიშნული დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ საქართველოს კანონის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილების და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის № 261 დადგენილების შესაბამისად, აქვს ხარვეზები და არის არასრულყოფილი (არ ახლავს კონცეფცია და ასევე სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაძლო ალტერნატივების ზოგადი აღწერა), რაც არ იძლევა საშუალებას შევაფასოთ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ღონისძიებები.
ქ. ზუგდიდის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტაციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება განხორციელდება სრულყოფილი პაკეტის დადგენილი წესით წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე